

-

შპს ბიომარკეტი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები	6
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
6. მარაგები	11
7. გაცემული ავანსები	11
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
9. ძირითადი საშუალებები	12
10. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	13
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	14
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	2023	2022	2021
ფული და ფულის ექვივალენტები	5	88,376	39,120	162,716
მარაგები	6	164,266	125,350	109,432
გაცემული ავანსები	7	108,266	18,479	35,548
სულ მოკლევადიანი აქტივები		360,908	182,949	307,696
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	79,806	19,949	19,676
სულ გრძელვადიანი აქტივები		79,806	19,949	19,676
სულ აქტივები		440,714	202,898	327,372
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	49,645	42,998	29,401
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		42,763	21,593	20,863
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		92,408	64,591	50,264
სულ ვალდებულებები		92,408	64,591	50,264
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		164,277	162,880	153,880
გაუნაწილებელი მოგება		184,029	(24,573)	123,228
სულ საკუთარი კაპიტალი		348,306	138,307	277,108
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		440,714	202,898	327,372

დირექტორი -----

მაქსიმი ზადაროჟნი

შპს ბიომარკეტი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	2023	2022	2021
ფული და ფულის ექვივალენტები	5	88,376	39,120	162,716
მარაგები	6	164,266	125,350	109,432
გაცემული ავანსები	7	108,266	18,479	35,548
სულ მოკლევადიანი აქტივები		360,908	182,949	307,696
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	79,806	19,949	19,676
სულ გრძელვადიანი აქტივები		79,806	19,949	19,676
სულ აქტივები		440,714	202,898	327,372
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	49,645	42,998	29,401
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		42,763	21,593	20,863
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		92,408	64,591	50,264
სულ ვალდებულებები		92,408	64,591	50,264
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		164,277	162,880	153,880
გაუნაწილებელი მოგება		184,029	(24,573)	123,228
სულ საკუთარი კაპიტალი		348,306	138,307	277,108
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		440,714	202,898	327,372

დირექტორი



მაქსიმი ზადაროუნი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	3,412,977	2,028,988
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(1,086,523)	(729,405)
საერთო მოგება		2,326,454	1,299,583
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,851,262)	(1,318,167)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(372,407)	(231,607)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	(11,069)	(4,718)
სხვა შემოსავლები		141,851	120,492
სხვა ხარჯები		(200)	-
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		233,367	(134,417)
მოგება საკურსო სხვაობიდან		5,592	4,598
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(28,549)	(16,810)
მოგება დაბეგვრამდე		210,410	(146,629)
მოგების გადასახადი		(1,808)	(1,172)
წმინდა მოგება		208,602	(147,801)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	153,880	123,228	277,108
კაპიტალის გაზრდა	9,000	-	9,000
წმინდა ზარალი	-	(147,801)	(147,801)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	162,880	(24,573)	138,307
კაპიტალის გაზრდა	1,397	-	1,397
წმინდა მოგება	-	208,602	208,602
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	164,277	184,029	348,306

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიომარკეტი დაფუძნდა 2021 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N 36, კორპუსი 2. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 406335899. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

მაქსიმი ზადაროჟნი 19910629-06571, FP205843 (უკრაინა) - 100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მცენარეულ საწყისებზე დაფუძნებული პრეპარატების დისტრიბუცია და რეალიზაცია. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - მაქსიმი ზადაროჟნი (19910629-06571).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო

პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც

გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები

გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამომგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრები	31-12-23	31-12-22
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	79,719	38,507
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8,657	613
სულ	88,376	39,120

6. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება მცენარეულ საწყისებზე დაფუძნებული პრეპარატებისგან.

7. გაცემული ავანსები

ცხრილებში წარმოდგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გაცემული ავანსების ჩაშლა:

გაცემული ავანსები	31-12-23	31-12-22
რეზიდენტი	2,442	1,610
არარეზიდენტი	105,824	16,869
სულ	108,266	18,479

8. სავაჭრო ვალდებულებები

ცხრილებში წარმოდგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების ჩაშლა:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
რეზიდენტი	2,340	405
არარეზიდენტი	47,305	42,593
სულ სავაჭრო ვალდებულებები	49,645	42,998

9. ძირითადი საშუალებები

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	-	1,398	1,398
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	21,458	49,976	71,434
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4,998	19,552	24,550
სულ	26,456	70,926	97,382

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	-	37	37
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5,350	7,571	12,921
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1,157	3,461	4,618
სულ	6,507	11,069	17,576

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	17,611	3,847	21,458
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3,854	1,144	4,998
სულ	21,465	4,991	26,456

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	1,468	3,882	5,350
ავეჯი და სხვა ინვენტარი	321	836	1,157
სულ	1,789	4,718	6,507

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მცენარეულ საწყისებზე დაფუძნებული პრეპარატების დისტრიბუციას, რომლის რეალიზაციაც ხდება საქართველოში მოღვაწე კომპანიებსა თუ ფიზიკურ პირებზე. 2023 და 2022 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი	3,412,977	2,028,988
შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	3,412,977	2,028,988
თვითღირებულება	(1,086,523)	(729,405)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,086,523)	(729,405)
საერთო მოგება	2,326,454	1,299,583

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
რეკლამის ხარჯები	1,592,850	1,255,211
საიჯარო ქირა	194,586	27,090
კომუნიკაციის ხარჯები	16,244	11,428
საბანკო ხარჯები	10,772	7,961
ელექტროენერგია და გაზი	10,244	6,639
საოფისე ინვენტარის ხარჯები	9,922	2,406
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	16,644	7,432
სულ	1,851,262	1,318,167

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
მენეჯმენტის ხელფასი	-	-
სახელფასო ხარჯი	372,407	231,607
სულ	372,407	231,607

2023 და 2022 წელს მენეჯმენტზე კომპენსაცია არ გაცემულა.

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 და 2022 წელს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან არ ყოფილა.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.